შ.პ.ს. „ტელეიმედი“
ქ. თბილისი, ლუბლიანას 5
ტელ.: 246 33 27
E-mail: contact@imedi.ge

L.L.C. "TELEIMEDI"
5, Lubliana Str., Tbilisi
Tel.: (995 32) 246 33 27
E-mail: contact@imedi.ge

07 ოქტომბერი, 2013 წელი
0597

მპგ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“
მთავარი საბჭოს წევრს
თამარ ცინცაძეს

შპს „ტელეიმედი“ თქვენი N3/474 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ ჩვენი კომპანია 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს „საარჩევნო კოდექსით“ მისთვის დაკისრებულ ვალდებულებათა სრული დაცვით, ხოლო კვალიფიციურ სუბიექტად იმ პოლიტიკური პარტიის აღიარება, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4 პროცენტის მხარდაჭერით, მოგეხსენებათ, წარმოადგენს კანონმდებლობით მაუწყებლისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და არა ვადებულებას.

ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი ამ არჩევნებისთვის არის შვიდი პოლიტიკური პარტია, რომელთა უფასო წესით რეკლამირება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს მაუწყებლის ვალდებულებას, შესაბამისად მათთვის უფას ო პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი საეთერო დრო, ყოველდღიურად შეადგენს ჯამში 73,5 წუთს, ხოლო „ტელეიმედის“ საერთო მაუწყებლობა დღე-ღამის განმავლობაში შეადგენს მხოლოდ 19 საათს.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, სამწუხაროდ ამ ეტაპზე შეუძლებლად მიგვაჩნია მპგ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ კვალიფიციურ სუბიექტად აღიარება და მისთვის უფასო სარეკლამო დროის გამოყოფა.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის რწმუნებული,
იურიდიული სამსახურის უფროსი

აკაკი გიგინეიშვილი